



სასამართლო სხდომის ოქმი

5 სექტემბერი 2012 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
სხდომის თავმჯდომარე - ნანა ჭიჭილეიშვილი
მოსამართლეები: თეა ძიმისტარაშვილი, ნათია ქუთათელაძე
სხდომის მდივანი: ბეატრიჩე პაპანდოპულოვი

აპელანტი - ააიპ „მწვანე ალტერნატივა“

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

წარმომადგენლები: მამუკა ივანიაშვილი, ნანა ჯამთარაძე

მესამე პირები:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და
სამშენებლო ინსპექცია

შპს „დარიალი ენერჯი“

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა,

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

სხდომა დაიწყო 12⁰⁰ საათზე.

სხდომა დამთავრდა 12⁰⁵ საათზე.

მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს განსახილველ საქმეს.

მოსამართლე სიტყვას აძლევს სხდომის მდივანს პროცესის მზადყოფნის შესახებ
მოსახსენებლად. სხდომის მდივანი მოახსენებს, რომ განსახილველ საქმეზე
მოწვეულ პირთაგან გამოცხადდა:

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს
წარმომადგენლები: მამუკა ივანიაშვილი, ნანა ჯამთარაძე (წარმომადგინეს ბრძანება No-
242 - წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელიც დაერთო
საქმეს)

არ გამოცხადდნენ: აპელანტი - ააიპ „მწვანე ალტერნატივა“, მესამე პირები:
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და
სამშენებლო ინსპექცია, შპს „დარიალი ენერჯი“. (სხდომის დღის შესახებ ცნობილი იყო
კანონით დადგენილი წესით)

მოსამართლე ამოწმებს გამოცხადებულ პირთა ვინაობას, წარმომადგენლის
უფლებამოსილებას, აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას:

სხდომის თავმჯდომარე - ნანა ჭიჭილეიშვილი
მოსამართლეები: თეა ძიმისტარაშვილი, ნათია ქუთათელაძე
სხდომის მდივანი: ბეატრიჩე პაპანდოპულოვი

